



# უნმინდესმა პატრიარქმა კირილემ ძმური მხარდაჭერა გამოუცხადა იერუსალიმის ეკლესიის წინამძღვარს გეთსიმანიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარზე რადიკალების თავდასხმასთან დაკავშირებით



**სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.23.2023.** 2023 წლის 23 მარტს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესმა პატრიარქმა კირილემ წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს წერილი გაუგზავნა, სადაც თანაგრძნობა და ძმური მხარდაჭერა გამოუცხადა წმინდა მიწის ქრისტიანულ შენობა-ნაგებობებზე რადიკალური პირების მხრიდან მორიგ თავდასხმასთან დაკავშირებით.

„თქვენო უნეტარესობავ, უფლისმიერ საყვარელო ძმაო და ღვთის საყდრის წინაშე თანამსახურო! მწუხარებითა და შეშფოთებით შევიტყვე ჯვრის თაყვანისცემის კვირას ებრაელი რადიკალების თავდასხმის შესახებ გეთსიმანიაში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარზე ღვთისმშობლის საფლავთან ლიტურგიის აღსრულების დროს, ასევე მღვდლისთვის მიყენებული შეურაცხყოფისა და ელენოპოლის ყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტის იოაკიმესთვის ფიზიკური ზიანის მიყენების მცდელობის ამბავი. კატეგორიულად ვგმობთ რა ამ დანაშაულს, თანაგრძნობას და ძმურ მხარდაჭერას ვუცხადებ თქვენს უნეტარესობას“, – ნათქვამია გზავნილში.

მისმა უნმინდესობამ უნეტარეს პატრიარქ თეოფილეს უსურვა მშვიდობა წმინდა ქალაქისთვის,

უფლისაგან სიმტკიცე საპატრიარქო ჯვრის ტარებაში და კეთილდღეობა მის ღვთივდაცულ სამწყსოს.

უნმინდესმა პატრიარქმა კირილემ მას აღუთქვა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის მხრივ განაგრძობს „ყველაფრის გაკეთებას რაც მასზეა დამოკიდებული იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს ყველა ქრისტიანს წმინდა მიწაზე და, უპირველეს ყოვლისა, იერუსალიმის ეკლესიის შვილებს“.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესმა პატრიარქმა კირილემ იერუსალიმის უნეტარეს პატრიარქ თეოფილეს ასევე გაუზიარა თავისი ღრმა შეშფოთება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც „დევნის უმძიმესი პერიოდი დაუდგა“.

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/90159/>